

## პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ კვლავ „ამერიკის სავაჭრო პალატის“ წევრია

„ამერიკის სავაჭრო პალატის“ ორგანიზებით, თბილისში 2016 წლის 21 სექტემბერს სასტუმრო „მერიოტში“ ტრადიციული, ყოველთვიური შეხვედრა შედგა. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ დისკუსიაზე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იენ კელიმ დამსწრე საზოგადოების წინაშე ვრცლად მიმოიხილა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები არსებული ბიზნეს გარემო და ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეხვედრის დასასრულს „ამერიკის სავაჭრო პალატის“ პრეზიდენტმა სარა ვილიამსონმა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მენეჯმენტის წარმომადგენლებს ორგანიზაციაში წევრობის აღდგენის დამადასტურებელი სიგელი ოფიციალურ ვითარებაში გადასცა.

„ამერიკის სავაჭრო პალატის“ ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ კომპანიის გენერალური დირექტორი იორგ მათიესი და „ჯი-აი-ჯის“ არა-აღმასრულებელი დირექტორი გელა ბეჟუაშვილი წარმოადგენდა. მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ბიზნესისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

„ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში“, არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ბიზნეს პალატა საქართველოში, რომელიც აერთიანებს 150 ორგანიზაციას. პალატა 1998 წელს დაარსდა და მისი მთავარი მიზანი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გაღრმავება და საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაა.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

